საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/130

ქ. ბათუმი 28 ნოემბერი, 2019 წ.

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების მიზნით სააპელაციო კომისიის შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 01 ნოემბრის №01-02/170 ბრძანებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ მარინა გიორგაძის მოხსენებითი ბარათის (MES 5 19 01622294, 27.11.2019) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 01 ნოემბრის №01-02/170 ბრძანებით ისტორიის, არქეოლოგიისა დას ეთნოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტში, მსოფლიო ისტორიის მიმართულებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს სააპელაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **ემზარ მაკარაძე** - ბსუ-ს პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
2. **მარინა ჯინჭარაძე** - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, წევრი;
3. **ციური ქათამაძე** - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, კომისიის მდივანი.

2. სააპელაციო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2019 წლის 04 დეკემბრიდან 09 დეკემბრის ჩათვლით.**

3. უფლებამოსილების განხორციელებისას კომისიამ იხელმძღვანელოს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით, „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 01 ნოემბრის №01-02/170 ბრძანებითა *და წინამდებარე დადგენილებით.*

4. წინამდებარე დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტ*სა და სააპელაციო კომისიის წევრებს.*

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**